



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000098188952020

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 42

02 / დეკემბერი / 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების, ქალაქ ახმეტაში სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 541 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებისა და პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669-ე დადგენილების, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის და 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე მუხლის 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 54-ე მუხლის, შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს საპრივატიზებო ნუსხაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქალაქ ახმეტაში სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 541 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი. (ს/კ 50.04.41.209)
2. დამტკიცდეს- ქალაქ ახმეტაში სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 541 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის
 - ა) საწყისი საპრივატიზებო საფასური-**8115.0** (რვაათას ას ხუთმეტი) ლარის ოდენობით.

„ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30% ით-**2435.0**(ორიათას ოთხას ოცდახუთმეტი) ლარის ოდენობით.

 - აუქციონის ბიჯის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10% ით -**812.0** (რვაას თორმეტი) ლარის ოდენობით.
 - საპრივატიზებო პირობა: პრივატიზებიდან ორი წლის განმავლობაში განხორციელდეს არანაკლებ **20000** (ოცი ათასი) ლარის ინვესტიცია.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ.N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტურულად



თამარ ყვინიშვილი